**მონიკა კვარაცხელია**

**სოპოტის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, პოლონეთი**

,,კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელმა, მონიკა კვარაცხელიამ, მონაწილეობა მიიღო Erasmus+ გაცვლით პროგრამაში და იმყოფებოდა პოლონეთში, სოპოტის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში, საერთაშორისო ადმინისტრაციული კვირეულის ფარგლებში.

ვიზიტის მიზანი იყო უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარება, აკადემიური პრაქტიკის გაზიარება და თანამშრომლობის გაღრმავება. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. მონაწილეებმა წარმოადგინეს თავიანთი უნივერსიტეტები, გაცვალეს ინფორმაცია საგანმანათლებლო სისტემებსა და ინსტიტუციურ სპეციფიკებზე.

კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა შეხვედრებზე წარადგინა უნივერსიტეტის სტრუქტურა, აკადემიური პროგრამები და საერთაშორისო პარტნიორობის გამოცდილება. პროგრამის ფარგლებში მონაწილეები აქტიურად ჩაერთნენ ვორკშოპებში, გუნდურ საქმიანობებსა და ინტერაქციულ სესიებში, რამაც ხელი შეუწყო ქსელური კავშირების ჩამოყალიბებასა და პროფესიული გამოცდილების ინტენსიურ გაზიარებას.

პროგრამა მოიცავდა როგორც აკადემიურ, ისე კულტურულ და სოციალურ კომპონენტებს. მონაწილეებმა შეძლეს ერთმანეთის უკეთ გაცნობა არაფორმალურ გარემოში, რაც დამატებითი შესაძლებლობა იყო ურთიერთობების გასამყარებლად და სამომავლო თანამშრომლობის ინიციატივების განსავითარებლად.

საერთაშორისო გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალისათვის, რადგან ის ავითარებს გლობალურ ხედვას, უწყობს ხელს საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესებას და აღრმავებს თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან. ეს წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენს ხარისხიანი და თანამედროვე განათლების უზრუნველყოფის გზაზე.''